№ 59

ხუთშაბათი, 15 მარტი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 59

ხუთშაბათი, 15 მარტი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 15 მარტს,

გასტროლი ქუთაისის დრამატიულის დასისა
ვლ. **ალექსი მესხიშვილის** მონაწილეობით და გამგეობლობით წარმოდგენილი იქმნება

ჰამლეტი

ტრაგ. 5 მოქ. ვ. შექსპირისა, თარგ. თავ. ივ. მაჩაბლის მიერ

ჰამლეტის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ოფელიას—ნ. ჩხეიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ

„ივერიამ“,

რომელსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველ-გვარ მთა-მადნეულობის საქმის წარმოება,—უკვე აიღო იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში“ და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.

ამასთა ავე, საქმის გასადიდებლად და მკვიდრ ნიადაგზედ დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო ძირითადი თანხა გაადიდოს და, ამის გამო, გამოსცეს **დამატებითი** პაები, თითო პაი ას (100) მანეთად ღირებული.

გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ-რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა ჰსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:

Въ гор Баку. Князю Іосифу Іюлоновичу Дадіани. Въ контору торгово-промышленнаго товарищества „ИВЕРІЯ“, по Меркурьевской улицѣ, въ домѣ Арафелова.

ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.

გამგენი ამხანაგობისა, სამთო ინჟინერნი:
თ. ა. ი. დადიანი.
თ. დ. გ. ჭორჭაძე.
პ. გ. ბრაილოვსკი.

(10—6.—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეჟირბანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელობოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი.**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ ტიტულიარნი სოვეტნიკობა განჯის გუბერნიის ჯევანშირის ნაწილის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორს თავ. ვეზირიშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა თელავის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელეს ანდრონიკაშვილს.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი მცხვეთაძე.

ახალი ამბავი

⁂ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ქუთაისის თავად-აზნაურობამ ჯერ კიდევ ვერ გადასწყვიტა, როგორ უნდა იდღესასწაულოს ასის წლის შესრულება საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან. ამის გამოსარკვევად 9 მარტს ქუთაისში აარჩიეს განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებადაც არიან თავ. დ. ო. ნიჟარაძე, თავ. პ. ა. თუმანიშვილი, ა. ი. ნანეიშვილი, თავ. ს. გ. წერეთელი, გ. ფ. ზდანევიჩი და ა. მ. ქოჩაკიძე. კომისიამ თავად აზნაურთა მომავალ კრებას თავისი მოსაზრებანი უნდა წარუდგინოს.

⁂ დღეს, 15 მარტს, თავად-აზნაურთა თეატრში ქუთაისის დრამატიული დასი წარმოადგენს შექსპირის ტრაგედიას „ჰამლეტს“. თვით ჰამლეტის როლს შეასრულებს ნიჭიერი მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ხოლო ოფელიას როლს—ქ-ნი ნ. ჩხეიძე.

⁂ კვირას, 18 მარტს, ქართულ სათავად აზნაურო თეატრში მომღერალ არტისტის ბ-ნის ფ. ქორიძის მიერ გამართული იქმნება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: მომღერალი-ქალი ევგ. გ. სარაჯიშვილი, ფორტე-პიანოზედ დამკვრელი ქალი ეკ. გ. სარაჯიშვილი, მომღერალი ი. გ. კარგარეთელი, ქორიძის მიერ ახლად შედგენილი ქართული ხორო და თითონ ბ-ნი

ფელეტონი

სიმინდი და სიმინდის მეურნეობა ქუთაისის გუბერნიაში

(ტიმოფეევისა)

წარსულს ხუთშაბათს კიდევ ჩვეულებრივ იყო გამართული ადგილობრივი მეურნეობის შესახებ საკითხავები ქუთაისის საბჭოს დარბაზში. მსმენელნი ახლა უფრო მეტი იყვნენ. პირველი ლექცია სიმინდის მეურნეობის შესახებ წაიკითხა ბ-ნმა ტიმოფეევმა, მეორე ბ-ნმა ვაწაძემ მებოსტნეობაზედ. როგორც გამოცხადებული გვქონდა, საჭიროდ მიგვაჩნია ჯერ-ჯერობით დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველები ბ-ნ ტიმოფეევის საუბარს, რადგანაც ამ საუბრის საგანს დიდი ადგილი უჭირავს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა მეურნეობასა და ეკონომიურს ცხოვრებაში. თუ მოვახერხეთ, ბ-ნ სტაროსელსკის ლექციების დაბეჭდვასაც ვეცდებით. ასე დაიწყო თავისი საუბარი ბ-ნმა ტიმოფეევმა:

„მოწყალენო ხელმწიფენო! დღეს მსურს გესაუბროთ იმ დიდს მნიშვნელობაზე, რომელიც სიმინდის მეურნეობას, ე. ი. მოვლა-გაშენებას აქვს ქუთაისის გუბერნიაში. ყოველმა თქვენგანმა უთუოდ უნდა იცოდეს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთათვის. იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, სამურზაყანოს, აბხაზეთის, ლეჩხუმის უმეტეს ნაწილს, რაჭის და აჭარის მკვიდრთათვის სიმინდი შეადგენს ცხოვრების უმთავრეს სალსარს, მისი ჩალა-კი, თუ ერთად-ერთი არა, უმთავრესი საკვები მაინც არის საქონლისათვის. მთელი ეკონომიური მდგომარეობა ზემო-აღნიშნულ მცხოვრებთა შეკავშირებული და დამოკიდებულია სიმინდის მოსავალზედ და ხალხს ვერც-კი წარმოუდგენია, თუ ოდესმე ყოფილა ისეთი დრო, რომ მის მამა-პაპას სიმინდი არ მოეყვანოს და არა ჰქონოდეს. რომ ნათლად დაინახოთ, როგორ გავრცელებულია სიმინდის მეურნეობა ქუთაისის გუბერნიაში, მოგიყვან ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობას; რადგანაც აქ, ჩვენში, თითქმის სრულიად არა ჰზრუნვენ მეურნეობის სტატისტიკისათვის, ძალა-უნებურად უნდა ვისარგებლოთ იმ ცნობებით, რომლებსაც მთავრობა, ადმინისტრაცია გვაწვდის. თუმცა ეს ცნობები დანამდვილებით სრული არ არის, მაგრამ აქედგან მაინც შესაძლოა გამოვიყვანოთ, რა საინტერესო რაოდენობრივი დამოკიდებულება არსებობს სიმინდისა და სხვა გვარის პურეულობის მოსავალს შორის. ქუთაისის გუბერნია უკანასკნელ წლებში იძლეოდა ოც-ოცდა-რვა მილიონ (28,000,000) ფუთს სიმინდს, რაიცა მთელის პურეულობის მოსავლის 88% შეადგენს. სხვა პურეულობიდგან, ხორბალი შეადგენს 6% მთელის მოსავლისას, ქერი—2%, ღომი და შვრია—2% ნაკლებს და სხვ. 1894—98 წლეში სიმინდით ნათესი ადგილები 243,000 დესეტინა იყო, რაიცა 70% შეადგენს მთელის სახნავ-სათეს მიწებისას. ცალკე მაზრებში და ოლქებში ეს დამოკიდებულება გამოიხატება შემდეგის რიცხვებით:

	სიმინდით ნათესი ადგილები.	% % შედარება მთელი მარცვლეულობის მოსავლისა.
სოხუმის ოლქი	31,600	97
ზუგდიდის მაზრა	32,100	97
ოზურგეთისა „	28,200	95
ბათუმის ოლქი	13,400	94
სენაკის მაზრა	30,000	90
ქუთაისისა „	48,700	90
შორაპნისა „	45,000	77
ლეჩხუმისა „	6,100	43
რაჭისა „	5,900	39
ართვინის ოლქი	1,700	28
მთელ გუბერნიაში	242700	70%

ამ ნაირად სიმინდის მეურნეობას უფრო მისდევენ გუბერნიის დასავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით გურიაში, სამეგრელოში, სოხუმისა და ბათუმის ოლქებში. სხვა მარცვლეულობის მეურნეობა-კი უფრო გავრცელებულია გუბერნიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში და ართვინის ოლქში. თუ ავიღებთ საშუალო წლიურს მოსავალს სიმინდისას, მაშინ ცალკე ოლქებისა და მაზრების მოსავალი ერთ დესეტინაზედ აღინიშნება შემდეგის რიცხვებით:

		საშუალო მოსავალი ფუთობით ერთ დესეტ.	საშუალო მოსავალი ათას ფუთობით
ქუთაისის მაზრა	—	80	3900
სენაკისა „	—	120	3600
ოზურგეთისა „	—	120	3370
ზუგდიდისა „	—	100	3200
ლეჩხუმისა „	—	70	430
შორაპნისა „	—	70	3150
ბათუმის ოლქი	—	100	1340
რაჭის მაზრა	—	80	470
სოხუმის ოლქი	—	100	3160
ართვინისა „	—	70	120
გუბერნიაში	—	90	22750

ერთ ფუთს მარცვალ სიმინდზედ მოდის აგრეთვე ერთ ფუთზედ მეტი ხმელი ჩალა. თითო სულზე საშუალოდ მოდის შემდეგი:

ოზურგეთის მაზრა . .	39 ფუთი
სოხუმის ოლქი . . .	34 „
სენაკის მაზრა . . .	32 „
ზუგდიდის „	28 „
ბათუმის ოლქი . . .	22 „
ქუთაისის მაზრა . . .	20 „
შორაპნის მაზრა . . .	20 „
ლეჩხუმის მაზრა . . .	8,5 „
რაჭის მაზრა	7 „
ართვინის ოლქი . .	2,5 „
მთელ გუბერნიაში საშუალოდ 1 სულზედ .	23 ფ.

თუ ჩვენ თითო სულზედ დღეში ვიანგარიშებთ ორ გირვანქა სიმინდს, ანუ წელიწადში 18 ფუთს, მაშინ მჭიდროდ დასახლებული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილები თითონვე ჰხარჯავენ

ქორიძე. იმღერებენ ნოტებზედ გადაღებულს ქართლ-კახურს, იმერულს, გურულსა და მეგრულს სიმღერებს.

⁂ როგორც შევიტყეთ, მიწად-მოქმედებისა ₾ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიერ წარდგენილი პროგრამა წელს აგვისტოში გასამართავად განზრახულ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენისა მცირეოდენის ცვლილებებით უკვე დაუმტკიცებია.

⁂ დღეს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება სხდომა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი, რომელმაც ტფილისის საბაღოსნო სკოლის ამა 1901 წლის ხარჯთ აღრიცხვა უნდა განიხილოს.

⁂ სამშაბათს, 13 მარტისათვის, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნული შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და ქალაქის ტეხნიკოსებისა მთა-წმინდის გორაზედ ფუნიკულერის აყვანის შესახებ დღეს, 15 მარტისათვის გადაიდო; როგორც შევიტყეთ, ქალაქის გამგეობას ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნ რობისათვის 100,000 მან. უთხოვნია ამ საქმისათვის.

⁂ ამ დღეებში ქ. ტფილისის გამგეობის წევრის თავ. ვ. ნიკ. ჩერქეზიშვილის მოხსენებით ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების დასაწმენდ-დასასუფთავებლად შემუშავებული პროექტი; ამ პროექტით ქალაქის თვითმმართველობა ქალაქის დასუფთავების საქმეს თითონ იკისრებს, ხოლო საჭირო ხარჯს გადასდებს ქალაქის მამულების დასაფასებელ გარდასახადისაგან. ქალაქის ქუჩების მტვრის გასატანად გაკეთებულ იქმნება ქალაქის ხარჯით 100 ურემი, რისთვისაც ერთ ხანად გადაიდება 24,000 მან. მთლად ამ საქმის მოწყობა ქალაქის გამგეობას 52,000 მ. დაუჯდება. პროექტის დამტკიცების შემდეგ ქალაქის გამგეობა ქალაქის ქუჩების დასაწმენდათ სავალდებულო დადგენილებათა შემუშავებას შეუდგება.

⁂ დღეს, 15 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება სხდომა ქალაქის სკოლების გამგე-კომისიისა, რომელსაც განსახილველად სულ 10 საქმე აქვს.

⁂ 17 მარტს, ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო თეატრში გამართავენ დრამატიულ-ლიტერატურულ საღამოს პოეტის რაფიელ ერისთავის სახსოვრად. ჯერ წარმოადგენენ „ადვოკატებს“, შემდეგ წაიკითხავენ პოეტის ბიოგრაფიასა და ლექსებს. დასასრულ ხორო შეასრულებს სიმღერებს.

⁂ დღეს, 15 მარტს, ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს სხდომა ექმნება. საკრებულომ უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ შედგენილი სავალდებულო დადგენილებანი დუქან-ბაზრებში ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ; ამავე საბჭოს დადგენილება დამფასებელ კომისიისა და დამფასებელთათვის. ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების დირექტორის რობის საჩივარი ქალაქის საბჭოზედ, რომელმაც დაადგინა ჯარიმა გარდახდეს უსახელო საზოგადოებას და სხვა.

⁂ გუშინ მიღებულ რუსულ გაზეთ „Россія“-ს სურათებიან დამატებაში მოთავსებულია განსვენებულ პოეტ რაფიელ ერისთავის სურათი.

⁂ 12 მარტს, სახალხო სახლის ამშენებელ კომიტეტს სხდომა ჰქონდა, ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით. როგორც კომიტეტის მოლარის მიერ წარდგენილ ანგარიშიდგან სჩანს, სხვა-და-სხვა შემოწირულობა სახალხო სახლის სასარგებლოდ სულ 17 ათასი მ. ყოფილა, რომელთაგან 12 ათასი ნაღდია, ხოლო დანარჩენი 5 ათასი ჯერ კიდევ არ შემოუტანიათ შემომწირველთ. იმ ორმოც კაცთაგან, რომელთაც იკისრეს შემოწირულებათა შეკრება, მხოლოდ ექვსი დაესწრო კრებას და წარადგინა 500 მანეთამდის, ასე რომ კომიტეტს ამ ჟამად აქვს სულ 17$^1/_2$ ათასი მანეთი.

⁂ უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს ახალ შემდგარ ფრანგთა უსახელო შავი ქვის მრეწველ საზოგადოებისთვის შეუდგეს წარმოებას შორაპნის მაზრაში. საზოგადოების ძირის თანხა უდრის 1,600,000 ფრანკს, რომელიც გაყოფილია 3,200 აქციად. თითო აქცია ღირს 500 ფრანკად.

⁂ როგორც ოსმალური გაზეთები იუწყებიან, კავკასიის მაჰმადიანთაგან მაჰმადიანთა საქველ-მოქმედო კომიტეტს 400,000 ფრანკი შემოწირულება მიუღია მექის რკინის გზის გასაყვანად. 50 დღის განმავლობაში კავკასიიდგან მექაში 4,600 მლოცველი წასულა, რომელთაგან 2,500 მთიულია თურმე.

⁂ როგორც ტფილისის მიხეილის სატეხნიკო რკინის გზის სასწავლებლის ანგარიშიდგანა სჩანს, 1899 წელს ამ სასწავლებლის მოსწავლეთა საზოგადო საცხოვრებლის შესანახად დახარჯულა 6,669 მან. 35 კაპ. 1900 წლის 1-ლ იანვრისათვის სასწავლებელს ჰქონია 15,851 მან. 89 კაპ. ხაზინას შემწეობა აღმოუჩენია 5000 მანეთი.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, მთავრობამ განიზრახა ამიერ-კავკასიაში სოფლის მცხოვრებთა გზის ბეგარა ფულად შესცვალოს. ახლა სათანადო მთავრობა ცნობებსა ჰკრებს იმის შესატყობად, თუ ბეგრის ნაცვლად რაოდენი ფული უნდა გაეწეროს მცხოვრებთ.

⁂ ამიერ-კავკასიაში სასოფლო-საბეითალო ნაწილის შესანახად და საქონლის ჭირთან საბრძოლველად ამა 1901 წელს ადგილობრივ საერობო გარდასახადიდგან გადადებულია სულ 37,105 მან., აქედგან ტფილისის გუბერნიისათვის დანიშნულია 6,780 მან., ქუთაისისა—8,060 მ., შავი ზღვის პირის—236 მან., ზაქათალის ოლქისათვის—1,542 მან.

⁂ პარასკევს, 23 მარტისათვის, დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტის წევრთა საზოგადო კრება. კრება მოხდება საგუბერნიო გამგეობის დარბაზში საღამოს 8 საათზედ.

⁂ ხვალ, 16 მარტს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება მოხდება. ამ კრებაზედ მოხსენებას წაიკითხავენ ბ-ნნი არტემიევი, გ. მ. სობესტიანსკი და ს. ა. ვოინო.

⁂ ამიერ-კავკასიის საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტების შესანახად საჭირო ფული 14,000 მან. დღეიდგან ხაზინიდგან იქმნება გადადებული. აქამდის ამ კომიტეტებს საერობო კასების ხარჯით ინახავდნენ.

⁂ დ. გუდაუთი (აბხაზეთი). გუდაუთის მცირე ქართველობა გულითადის მწუხარებით უერთდება მთელის საქართველოს მწუხარებას ჩვენის მხცოვანისა და დაუვიწყარის პოეტის თ. რაფიელ ერისთავის დაკარგვის გამო.

⁂ ტფილისის ობოლთა სასამართლოს უწყებაში 1900 წელს სულ 2,024 მცირე წლოვანი ობოლი ყოფილა და 32 შეშლილი. მცირე წლოვანთა უძრავი ქონება ღირს 1,871,829 მან., შეშლილთა ქონება—23,163 მან. და ურუ-მუნჯთა—1,600 მან. მოძრავი ქონება პირველთა 1,867,372 მანეთი, მეორეთა და მესამეთა—16,932 მანეთი.

⁂ 13 მარტს ტფილისის ქალაქის გამგეობისა, განსაკუთრებულ კომისიისა და ექსპერტთა შეერთებულ კრებას განუხილავს ბ-ნ რობის მიერ წარდგენილი ახალი პროექტი მთაწმინდაზედ ფუნიკულერის გაყვანისა.

⁂ 13 მარტს, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველის თანამ. აღმასრულებელს წარუდგენია ქალაქის მოურავისათვის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ინსტრუქციის პროექტი. ეს პროექტი გარდაეცა გამგეობის წევრს ხოსროევს განსახილველად.

⁂ როგორც „ცნ. ფურც.“ იუწყება, ქუთაისში გადაუყვანიათ ბ-ნ მ. შველიძე, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა სახალხო წარმოდგენებში.

⁂ სოფელი დიდი თიანეთი (ტფილისის მაზრა). ორშაბათს, 12 ამ. მარტს, დღისით უეცრივ შეიცვალა ჰაერი, ამოვარდა ქარიშხალი, მოჰყვა მას ჭექა-ქუხილი, ხოლო ღამის 11 საათზედ მეხიც ჩამოვარდა, რომელიც დაეცა სოფლის განაპირას ერთ საწყალ გლეხის საბძელს. საბძელი მთლად გადაიწვა, რასაც ხელს უწყობდა გაძლიერებული ქარი. საწყალ გლეხს დაეწვა თივა და ბზე; ზარალი 300 მანეთამდე იქმნება.

⁂ როგორც სადგ. გრაკალიდგან გვატყობინებენ, 13 მარტს მე 225 ვერსტზედ სახალხო მატარებელი დასჯახებია გლეხს ტატო გოგიაშვილს, რომელიც ამ დროს ლიანდაგზედ დადიოდა. გოგიაშვილი ძალიან დაშავებულა.

⁂ ქიათურიდგან გვატყობინებენ, რომ 13 მარტს, ღამის 2 საათზედ, დაიწვა ხის ფარდული, სადაც ვაგონების სასწორი იყო.

დაბა ₾ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სამიქაოის საზოგადოება (ქუთაისის მაზრა). სამიქაოს საზოგადოება ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზედ მდებარეობს. ეს საზოგადოება შესდგება ხუთის სოფლისაგან: ქოლობანი, ბეზათი, გუგუნაეთი, სამიქაო, მაიდანი და გულუხეი, ეკუთვნის იმერეთს და მიჯრულია სამეგრელოზედ. იმერეთიგან მდინარე ცხენის-წყალს მოუწყვეტია ეს პატარა ნაწილი ₾ სამეგრელოსათვის მიუკრავს, მაგრამ მმართველობა მაინც იმერეთისა აქვს. ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ ეს საზოგადოება მაზრის უფროსს დაეარის და მისი ავ-კარგი შეეტყოს; ბოქაულიც-კი ისე მარცხად თუ მობრძანდება ხოლმე (მამასახლისის ამორჩევის დროს) სასოფლო სასამართლოში, თორემ ჩვენთვის აგრე რიგად თავს არავინ იცხელებს. ამ დროსაც უფალი მამასახლისი უსათუოდ კარგს სოფლის ნაწილში და კარგს გზაზედ გაატარებს, რომ „დარწმუნდეს ბოქაული საზოგადოებაში ყველგან კარგი გზა არის. ასე რომ, მთელის საზოგადოების ბედიღბალი დამოკიდებულია მამასახლისზედ;

მთელს მოსავალს, მხოლოდ მეტი მოსავალი მოდის გუბერნიის დასავლეთ ნაწილში და საშუალო მოსავლის დროს იძლევა 6,5 მილლიონ ფუთს მეტს სიმინდს. აი, ეს მეტი სიმინდი გააქვთ საზღვარ-გარეთ და ერთი ნაწილი კი უნდება ისევ იმერეთსა და რაჭას, სადაც სიმინდის მეურნეობას ნატურალური ხასიათი აქვს, ე. ი. რაც სიმინდი მოდის, სულ ისევ ადგილობრივ მცხოვრებლებს უნდება.

წარსულ საუკუნის მეორე ნახევრიდგან გუბერნიის ეკონომიური სამეურნეო ვითარება სრულიად გამოიცვალა. გლეხთა განთავისუფლებამ ძირს დასცა ეკონომიური მეურნეობა, ზოგიერთთა გარდა ეხლანდელ დროში მემამულეები არა ჰკიდებენ ხელს მეურნეობას, არამედ გლეხებს სანახევროდ აძლევენ მიწებს. ამასთანავე ნატურალური მეურნეობა შესცვალა ფულმა. ამ ცვლილებას ხელი შეუწყო ტფილისისა და სხვა რკინის გზების გაყვანამ, რომლებმაც გუბერნიის განცალკევებული ადგილები არა მარტო ერთმანეთთან, არამედ მთელ კავკასიის ქალაქებთან და მის ბაზრებთან შეაერთეს. შეაერთეს რუსეთის და საზღვარგარეთის ცოტად თუ ბევრად შესანიშნავ ბაზრებთან. ამასთანავე იზრდებოდა მცხოვრებთა რიცხვიც და მწვავდებოდა უქისოდაც მწვავი მიწის სიცოტავე, რომელმაც ბოლოს დროს მიწის უნაყოფობა გამოიწვია. ამ ბოლოს ხანებში ქუთაისის გუბერნიაში მევენახეობის კრიზისი დადგა, ჯერ დასავლეთ ნაწილებში და შემდეგ კი აღმოსავლეთშიაც, რამაც გამოიწვია მარცვლეულობის მეურნეობის გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო-ეკონომიური ვითარება და ცხოვრების მოთხოვნილებანი აგრე შეიცვალა, სიმინდის მეურნეობის საქმე თითქმის ერთს დონეზედა სდგას. ამიტომ გამორკვევა იმ კითხვისა, თუ როგორ იქნეს დაყენებული სიმინდის მეურნეობის საქმე ახალ ვითარების შეთანხმებით, აუცილებელს საჭიროებას შეადგენს და მეც სწორედ ამ აზრით შევუდექი ამ საქმეს, რომ გამეცნო მკითხველთათვის ეს საგანი; მათი სრულიად გარკვევა ჩემთვის, რასაკვირველია, ძნელია და ვერც მოგცემთ ამის პირობას. სულ ამ საქმის შესასრულებლად მოხდება რამდენიმე კრება „კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისა. ვიდრე შევუდგებოდე დახასიათებას იმ ბუნებრივ და ეკონომიურ პირობებისას, რომლებშიაც ეხლა არის სიმინიდის მეურნეობა ქუთაისის გუბერნიაში, მსურს გაგაცნოთ თვით სიმინდს, მის საქვეყნო წარმოებასა და მოხმარებასა, აგრეთვე მის ბაზრებს, მაზანდასა და სხ.

* * *

სიმინდის სამშობლოდ ითვლება ამერიკა. სენტ-ილერი ამბობს, რომ სიმინდი ბრაზილიასა და პარაგვაიში ველად იზრდებაო, თუმცა ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ სიმინდი ამერიკის აღმოჩენამდის ევროპის და აზიის მცხოვრებთათვის ნაცნობი მცენარე იყოო, მაგრამ ეს აზრი ბოლო დროს სრულიად უსაფუძვლო გამოდგა. არც რომაელების, არ ბერძნების, არც ეგვიპტის ნაშთებში, არც ჩინეთის უძველესს წიგნებში და არც სანსკრიტში არ არის ნახსენები ამ მცენარის სახელი. ამერიკის აღმოჩენის ხანებში სიმინდის მოყვანა გავრცელებული იყო როგორც ხმელეთზედ, ისე ანტილის კუნძულებზედ, იქიდგან გადმოტანილ იქმნა იტალიასა და ისპანიაში, სადაც თავდაპირველად ბაღებში სთესდნენ და მოჰყავდათ და შემდეგ კი ყანებშიაც დაიწყეს მისი მოყვანა. შემდეგ ამისა სიმინდმა ფეხი მოიდგა ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზედ, და აღმოსავლეთშიაც ინდოეთამდისინ. თუ როდის და რა დროს შემოვიდა სიმინდი კავკასიის შავის ზღვის ნაპირებზედ, ამის თქმა დანამდვილებით ძნელია. ადვილად შესაძლებელია, რომ სიმინდი შემოტანილ იყოს ოსმალეთიდგან და ან იმ უცხო ხალხთაგან, რომლებიც შავის ზღვის ნაპირას სახლდებოდნენ, სახელდობრ ბერძნებისა და გენუელებისაგან. შარდენი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის მე-60 წლებში ჰმოგზაურობდა სამეგრელოში, ამბობს, რომ ჩვეულებრივს საჭმელს მეგრელებისას შეადგენს ღომი, რომლისაგანაც ისინი სქელ ფაფას აკეთებენო. ამას გარდა, სთესავენ ქერს, შვრიას, ფეტვსა და სხვა მცენარეულობასაო. სიმინდის შესახებ-კი არაფერს ამბობს. ალბათ მაშინ არა ყოფილა სიმინდი, თორემ უსათუოდ მიიქცევდა შარდენის ყურადღებას. ზოგიერთი ცნობებიდგან სჩანს, რომ სიმინდის თესვა შემოუღიათ ჩვენში მე XVIII ე საუკუნის დამლევს. გილდენშტედტის მოწმობით, რომელიც კავკასიაში მოგზაურობდა 1770—73 წლებში, სიმინდი უკვე ყოფილა იმ დროს იმერეთსა და ქვემო რაჭაში. მხოლოდ ოკრიბაში კი ჯერ არა ყოფილა შემოღებული. მაშინ ამ მცენარეს მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია. მე-XIX-ე საუკუნის დასაწყისშიაც კი, იმერეთის უკანასკნელ მეფის სოლომონის დროს, ხარჯი იკრიბებოდა არა სიმინდით, არამედ ქერით, შვრიით, ღვინოთი და სხვით. მაგრამ იმერეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ზუბოვის მოწმობით, რომელიც კავკასიის შესახებ სწერდა,—იმერეთი და გურია უკვე ჰგზავნიდნენ სიმინდს გასასყიდად ახალციხესა და ოსმალეთში. საინტერესოა კიდევ ის ფაქტი, რომ მე-XIX საუკუნის დასაწყისშიაც-კი სიმინდის გამო სამეგრელოში არაფერი არ არის ნათქვამი. მე-XIX-ე საუკუნეში სიმინდი ისე გავრცელდა, რომ სხვა მცენარეულობათ გადააჭარბა და უკვე იგზავნებოდა გასასყიდად მეზობელ სახელმწიფოებში. განსაკუთრებით მრავალი სიმინდი გაჰქონდათ საზღვარ-გარეთ 1860—1870 წლებში, როდესაც ფოთსა და ტფილისს შუა

გაა თითქმის განუსაზღვრელი ბატონი და პატრონი. მაგრამ ამ ბატონსა და პატრონს ბევრი რამ ესაყვედურება: მთელს საზოგადოებაში ხეირიანი გზა თითქმის არსად არის და გზის უქონლობა-კი, ყველამ უწყის, რა ცუდი არის. სხვა რომ არა იყოს-რა, საცოდავი სანახავია: საწყალი ბოვშები რომ სკოლაში მიდიან, ან სკოლიდგან მოდიან, მუხლებამდე მთლად სველი და ტალახიანები არიან. ამისა გარდა, მდინარე ცხენის-წყალიც დიდს ზიანს აძლევს მთელს საზოგადოებას: ყოველ-წლობით რამდენსამე ათს ქცევა მიწას ართმევს ხალხს და პატრონი-კი არავინ არის, რომ წყალს ხელი შეუშალოს, ნაპირები გაამაგროს როგორმე. მართალია, მცხოვრებნი ღარიბნი არიან და ქვის დამბის აკეთებას ვერ შეიძლებენ, მაგრამ უამისოდაც შეიძლება კაცმა წყალს ხელი შეუშალოს.

ახალმა მამასახლისმა იაკობ შუბლაძემ ამორჩევისთანავე ყურადღება მიაქცია წყალს, ხალხი შეჰყარა და განაჩენი დაადგენინა, რომ წყალი აკეთონ და მარჯვენა ნაპირები გაამაგრონ, მაგრამ აქაც მთელმა საზოგადოებამ არ მიიღო მონაწილეობა და ს. ქოლობანმა უარი ჰყო და განაცხადა, რომ ბევრჯელ გავაკეთეთ, მაგრამ არაფერი არ გამოვიდაო. და იქნება სამართლეც მიუძღოდეთ? ეს მდინარე ისეთი მოუსვენარი რამ არის, რომ თუ ხალხს კარგი ხელმძღვანელი არ ეყოლა, შრომამ შეიძლება კიდევ ამაოდ ჩაუაროთ. ამისთვის ვურჩევთ, რომ ბ-ნი ახალი მამასახლისი შუამდგომლობდეს, ვისთანაც ჯერ არს, და მუშაობაში სახელმძღვანელოდ სახელმწიფო ტეხნიკს გამოითხოვდეს. მაშინ ს. ქოლობანიც დიდის ენერგიით მოჰკიდებს ხელს მუშაობასა და შრომაც, ვგონებ არ არის, არ დაეკარგებათ, საქმეს ეშველება, ხალხი მდინარის მხრივ მაინც მოსვენებული იქნება.

ქოლობნელი

ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ.

მარსელი, $^2/_{15}$ მარტი 1901 წ. იანვარ-თებერვალში დიდძალი პარკი გაიყიდა, ასე რომ, როგორც დღეს ფიქრობენ, ახალის მოს ვლისათვის ბევრი აღარა დარჩება-რა გაუყიდველი. მეტს ფასების დაწევას აღარ ელიან, აწევას-კი მოელიან. დღეს თეთრი პარკი პირველის ხარისხისა ისყიდება რვა ფრანკად, ყვითელი — 8 და 30—50-მდე, საფრანგეთის პარკი, ყვითელი — $8^3/_4$ ფრანკად კილო. წინედ სპარსეთის პარკი უფრო ძვირადა ჰფასობდა, ვიდრე ჩვენებური. წელს-კი სპარსეთის პარკი ერთობ ბევრი დაგროვდა. მართალია, ამ პარკს გამოსავალი ჩვენებურის პარკისა არა აქვს, მაგრამ გაცილებით თეთრია, ვიდრე ჩვენებური. ამ გარემოებით ჯერ იყო, სპარსეთის პარკი ჩვენებურს პარკს გაუსწორდა ფასით, ბოლოს ძირსაც დავარდა და ამით ჩვენი საქონელი ძალა-უნებურად გააიაფა. დღეს ისიც 8 ფრანკად ფასობს კილო. ძლიერ თეთრი, ამაზიის პარკი $8^3/_4$ ფრანკა და ღირს კილო. შესანიშნავი, რომ ჩვენებური პარკი სრულიად უფერულია, ანუ ჰვარტლის ფერი დაჰკრავს და ამით ბევრსა ჰკარგავს. საჭიროა ამ გარემოების მიზეზი გამოკვლეული იქმნეს: შეურჩეველ თესლისაგან წარმოსდგება იგი, თუ კვამლისაგან, რომელიც უსათუოდ მოჰხვდება ხოლმე პარკს უამინდობის დროს სააბრეშუმო სახლებში ცეცხლის ნთებით, თუ მერმე პარკის გამოხარშვისა და ხმობისაგან წარმოსდგება.

ნ. წ.

პასუხი „კვალის“ შინაურს *)

ჩემმა წერილმა სასოფლო კოოპერაციულ მოძრაობის შესახებ დიდად განარისხა „კვალში“ ბ-ნი შინაური. ბ-ნ შინაურის წერილის პირველ ნაწილს არავითარი კავშირი არა აქვს ლიტერატურასთან და ავტორი ადრე თუ გვიან გამოტყდება, თუ უკვე არ გამოუტყდა თავის თავს, რომ ამ გვარის რამის წერა არ შეჰშვენის მწერალს, რომელიც ბეჭდვითი სიტყვას პატივსა სცემს.

სულ სხვა საქმეა მეორე ნაწილი წერილისა. იქ ბ-ნი შინაური სტატისტიკით აღჭურვილა ჩემის ციფრების წინააღმდეგ, თუმცა მთელ წერილში არავითარი საბუთი არ მოიძებნება, გარდა ერთის ცხრილისა საპროცენტო დამოკიდებულებისა და ცვლილების შესახებ. ეს ცხრილიც ამოღებულია ბებელის წიგნაკიდგან „დედაკაცი“-დგან (Die Frau). ნათქვამის დასაბუთების ის მანერა, რომელსაც ამ წერილში ბ ნი შინაური ხმარობს, საუკეთესოდ გვიმტკიცებს რამდენად მეცნიერულია ენგელსის სკოლის ვითომდა მეცნიერება.

თავიანთ გამონაკვლევთა ქება დიდებით გართულნი, ამ სკოლის მწერალნი კარგა ხან არიდებდნენ თვალს ეკონომიურ ცხოვრების ფაქტებს გერმანიის გარეშე და განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „ერთი კაპიტალისტი ჰკლავს მრავალს“, „კაპიტალისტის პატრონთა რიცხვი კლებულობს“, „გლეხობა, როგორც ენგელსმა დაამტკიცა, დაჰკარგავს მიწას“ და სხვას. როდესაც სტატისტიკის ისეთმა ავტორიტეტმა, როგორიც რ. გიფფენია, პირველად აღნიშნა, რომ ყოველ წლივ გადამავალ სამკვიდროთა რიცხვი იზრდება, იზრდება აგრეთვე ამ სამკვიდროთა ღირებულობაც, დიალექტიკის სოფისტებმა მხოლოდ ცბიერად ჩაიღიმეს. მაგრამ, აი, გაჩნდა თხზულებანი ფრანგთა, იტალიიელთა და, ბოლოს, გამოცხადდა გერმანიის 1895—96 წლის აღწერის შედეგიც. ყველგან სტატისტიკის მშრალი ციფრები მსხვილ, საშუალო და წვრილ შეძლების პატრონთა რიცხვის გამრავლებას ლაღადებდნენ. ფაქტი აშკარა იყო, იგი აქარწყლებდა მოძღვრებას კაპიტალთა კონცენტრაციის შესახებ.

რა უნდა ექმნათ?—ზოგიერთებმა (ვანდერველდემ, ბერნშტეინმა და სხვებმა) აღიარეს ფაქტის არსებობა; მაგრამ სხვებმა, ენგელსის მეცნიერების დამცველთა და შემნახველთ, მიჰმართეს მეტად გასაკვირველ მეტოდს იმის გამოსახატავად, ამა თუ იმ ადგილში რამდენი მცხოვრებია, რამდენი კაცი კვდება და სხვა. მათ აბსოლიუტური რიცხვი, რაოდენობა-კი არ ჰილეს, მხოლოდ პროცენტები გადმოგვიშალეს. პროცენტები, მაგრამ რისა, რა რიცხვისა და რაოდენობისა? ეს იმათთვის სულ ერთია... სთქვეს $^0/_0$, მორჩა და გათავდა. ასეთი სტატისტიკა აღმოაჩინა ენგელსმა, ხოლო იმის შემდეგ ყველაზედ მეტად გამოიყენა კაუტსკიმ, ამ დიალექტიკოსთა მეცნიერთა-მეცნიერმა. და აი ბ-ნმა შინაურმაც ბებელის წიგნაკიდგან სწორედ ის ადგილი ამოიღო, სადაც პროცენტთა მომატების ცხრილია. „შემოსავალი 3000 მარკ. გაიზარდა 42 პროცენ... შემოსავალი 120,000 და მეტი გაიზარდა 942 პროც;“ ბრძანებს ბ-ნი შინაური, მაგრამ უმთავრესს-კი არ იხსენიებს, სახელდობრ იმას, თუ რაოდენი იყო რიცხვი როგორც პირველთა, ისე მეორეთა. დიდის რიცხვის პროცენტი ბევრად მეტი იქმნება პატარაზედ, თუნდაც ეს პატარა მილიონჯერ გაამრავლოთ. მაგალითად, ასეთი წინადადება რომ ვსთქვა, რუსეთში მცხოვრებთა რიცხვს $1^0/_0$ მოემატა, მონაკოში-კი $200^0/_0$-ო, როგორა გგონიათ, რომელს უფრო ბევრი ხალხი მოჰმატებია. რუსეთის ერთი პროცენტი უდრის 1,400,000 კაცს, მონაკოს 200 პროცენტი-კი —26,000 კაცს. ვინ იტყვის, რომ $200^0/_0$ მონაკოში მეტს იძლევა, ვიდრე $1^0/_0$ რუსეთშიო? უბრალო მომაკვდავი აშკარად დაინახავს ასეთის მსჯელობის უსაფუძვლობას; მაგრამ სწავლულ დიალექტიკოსთა სწავლული წარმომადგენელი ბ-ნი კაუტსკი სცდილობს დაარწმუნოს ყველანი, რომ მონაკოს მცხოვრებთ უფრო მეტი ხალხი მიემატა, ვიდრე რუსეთის მცხოვრებთაო. მაშ ყური დაუგდეთ, თუ არა გჯერათ. თავისს წიგნში *), სადაც მოძღვრებას იცავს, კაუტსკის დიდის ამბით მოჰყავს 26 ცხრილი; 17 ცხრილში მხოლოდ $^0/_0$ დამოკიდებულებაა ნაჩვენები, ხოლო 9-ში მოყვანილია აბსოლიუტური ციფრები და $^0/_0$ დამოკიდებულებაც. მე-113 გვერდზედ ავტორი აცხადებს, რომ იმ სახელოსნოების რიცხვი, სადაც 1000 და მეტი მუშაა, გაიზარდა $100,8^0/_0$, იმ სახელოსნოების რიცხვი-კი, სადაც 5 და ნაკლები მუშაა, — $1,8^0/_0$-ო. ასე გადმოგვცემს პროპროცენტებით ბ-ნი კაუტსკი, ციფრები-კი გვეუბნებიან, რომ მეორე სახელოსნოებ-ს (წვრილ) რიცხვი იყო: 1882 წ.—2,882,768, 1895 წელს—2,934,723, ე. ი. 51,955 მოემატა; ხოლო პირველთა 127 იყო და 225 გახდა.

ამაზედ მეტი-ღა იქმნება მკითხველო? სწავლულს ეუბნებიან, რომ „კაპიტალისტები არა სჭამენ ერთმანეთს“, „მსხვილები არ ანადგურებენ წვრილებს“, პირ-იქით, მათი რიცხვი ეხლა უფრო მატულობს, ვიდრე წინად, სწავლული-კი მაინც პროცენტებით თავისას გაიძახის...

აი კიდევ პასუხი სწავლულისა: მე-145 გვერდზედ მოჰყავს „ცხრილი მემამულეთა გერმანიაში 1895 წ.“ იმ ადგილას, სადაც „მხოლოდ ფერმერთა მიწებია“, ამბობს:

1882 წელს იყო—829,137.

1895 წელს გახდა—912,959, მოემატა 83,822.

ჩვენებურად, მკითხველო, $9^0/_0$-ზედ ცოტა მეტი მოჰმატებია, ყოველს შემთხვევაში ორთაშუა რიცხვით წელიწადში ფერმათა რიცხვს 6,448 ემატებოდა. სულ სხვანაირად ანგარიშობს ენგელსის აღმოჩენათა დამცველი: იმან ორივე რიცხვი პროცენტებად აქცია და პირველისათვის $15,7^0/_0$ გამოიყვანა, ხოლო მეორისათვის—$16,4^0/_0$, შემდეგ გამოაკლო ერთი მეორეს და, არ ვიცი, ღმერთმანი, რა მათემატიკის ძალით, გამოაცხადა, რომ მხოლოდ $0,7^0/_0$ მოჰმატებიაო! აი, სწორედ ეს აბდა-უბდა გამოაქვთ დიალექტიკურ მეცნიერებად...

ტყუილად ხომ არ მოიხვეჭა სახელი დიალექტიკის მამად-მთავარმა ზენონმა თავისის ერთის აფორიზმით ახილესისა და კუს შესახებ. ზენონი ამტკიცებდა, რომ ახილესი კუს ვერასოდეს ვერ დაეწევა, თუ კუ ასი ნაბიჯით წინ იქმნებაო; იმიტომ რომ, ვიდრე ახილესი ერთ ნაბიჯს გადასდგამს (ე. ი. $1^0/_0$), კუც გადასდგამს ერთ ნაბიჯს (ე. .ი$1^0/_0$), და ასე ივლიან ბოლომდეო. აქ ზენონი, ისევე, როგორც ეხლა მთლად ენგელსის სკოლა იქცევა, ადარებს აბსტრაქტიულ და არა კონკრეტიულ ასეულებს, ე. ი. $^0/_0$; თორემ, რა ლაპარაკი უნდა, ერთი $^0/_0$ ახილესისა, ე. ი. იმისი ერთი ნაბიჯი, სულ ცოტა 20-ჯერ მაინც მეტი იქმნება კუს ნაბიჯზედ. მაგრამ ასეთია დიალექტიკის ბედი: სოფიზმებით დაიწყეს, სოფიზმებში ჩაეფლნენ და სოფიზმებითვე უბნევენ გზა-კვალს გულ-უბრყვილოებს.

ბ-ნ შინაურს-კი ვურჩევთ, ნაკლებ მიჰმართოს ხოლმე უკონკრეტო ციფრებით პროცენტთა ენას. თორემ შეიძლება იმასაც ის დაემართოს, რაც ერთ „სწავლულ“ სტატისტიკოსს დაემართა. ეს სტატისტიკოსი ერთ დაბის მცხოვრებთა რაოდენობის გამოკვლევას შეუდგა, იკვლევდა იგი იმასაც, თუ რამდენი ხალხი იხოცება ამ დაბაში, და ერთ ცხრილში ეს სიტყვები ჩასწერა:

„ადგილობრივ მეჩექმეთა შორის გარდაცვალებულთა რაოდენობა გამოიხატება $100^0/_0$-ითაო“.

ნამდვილად-კი აღმოჩნდა, რომ დაბაში ერთად-ერთი მოხუცი მეჩექმე სცხოვრობდა თურმე და ისიც მომკვდარიყო.

ვ. მარჯელი

რუსეთი

ჰფიქრობენ, კადეტებს შეღავათი მისცენ რკინის გზებზედ მეორე კლასით მგზავრობის დროს. დღეს კადეტებს ბილეთის ფასს უკლებენ მხოლოდ მესამე კლასით მგზავრობის დროს.

— გზათა სამინისტრომ გარდასწყვიტა სახელმწიფო რკინის გზებისათვის შეიძინოს ისეთი მსწრაფლ-მოსიარულე ორთქლ-მავლები, რომელთაც შეეძლოთ საათში 60—80 ვერსის გავლა.

— საგლეხო ბანკის მთავარ გამგეობასთან შესდგა განსაკუთრებული კომისია იმ წესების გადასასინჯავად, რომლებიც ბანკიდან გლეხთა ამხანაგობების მიერ სესხის გატანას შეეხება.

— გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა გამართოს ჭლექით ავადმყოფთა სანატორიუმი რკინის გზების მოსამსახურეთათვის.

— სწავლის საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა იქმნა აღძრული იმის შესახებ, რომ ადგილობრივ-გიმნაზიისათვის განსაკუთრებული სასწავლო [illegible] იქმნეს დაარსებული და იქ შესულიყო სა[illegible] კავშირი მათთვის.

გაყვანილ იქმნა რკინის გზა.

* * *

ბრიტანიკურის მხრივ სიმინდი წარმოადგენს ერთად ერთს განსაკუთრებულს ჯიშს პურის მოდგმისას. ეს მცენარე ერთნაწილოვან და სხვა-და-სხვა სქესის ყვავილოვანია. მამრობითის სქესის ყვავილები შეკრებილია ღეროს თავში, ხოლო მდედრობითი ძაფის მსგავსი ღეროები კი შეკრებილია ტაროში, რომელიც ფოთოლსა და ღეროს შუა იზრდება და რომელსაც გარს ფურჩქი აკრავს შემოხვეული. სიმინდი ერთ წლოვანი მცენარეა, მისი ღეროები მსხვილიანია და გული ღრუბლის მსგავსი აქვს. სიმინდი იზრდება $1^1/_2$—$18^1/_2$ ფუტამდე, მხოლოდ სისქე $1^1/_2$ გოჯამდის აღწევს. მისი ფოთლები სიგრძით 1—4 ფუტამდე აღის, სიგანით კი 2—6 დიუიმამდის. ტაროების ნაღდე სხვა-და-სხვა ნაირია; რაოდენობა მათი ერთ ღეროზედ ტე—12—14-მდე აღწევს. როდესაც სიმინდმა ფეხი მოიდგა და გაუამრავლეს სახნავ-სათესი მიწები ძველსა და ახალს ქვეყნებში, მაშინ ის ბევრნაირად შეიცვალა სხვა-და-სხვა ჰავა ნიადაგის განსხვავების გამო და მრავალ გვარ დარგად გადიქცა. ყველა ეს მოდგმანი სამ ნაწილად გაიყოფება: 1) ჩვეულებრივი სიმინდი (Lea mays), რომელსაც ან პტყელი და ან ჩაჰყლეტილი მარცვლები აქვს. ის მოდგმანი, რომლებიც ამ დარგს ეკუთვნიან, განირჩევა ტაროების მოყვანილობით, მარცვლების სიდიდით, მათის ფერით, სიმაღლით, დამწიფების ხანით და სხვანი. 2) წვრილ-მარცვლოვანი სიმინდი (Lea rostrata), რომელსაც მარცვლის თავები გაშვერილი აქვს ნისკარტივით. 3) კარაგუა (Lea karagua)—მრგვალ მარცვლებიანი, ფოთლები ამ სიმინდს ხერხის კბილებივითა აქვს. ჩვეულებრივი სიმინდის დარგებიდგან განირჩევიან წვრილ მარცვლებიანი, მსხვილ მარცვლებიანი და ცხენისკბილა. წვრილ მარცვლებიანს ეკუთვნიან იტალიურის ჯიშისა: კარაპტინო, ჩინკვანტინო, ნაპეროტოდო, ნინიოლეტო და დაბალი სიმინდების დარგები, რომლებსაც პატარა ტაროები აქვს და რომლის მაგარი წვრილი მარცვლები 40—100—120 დღის განმავალობაში მწიფდება. ამ დარგსვე ეკუთვნის აგრეთვე განგონი, როემელიც მწიფდება 120—140 დღეში, ყვითელი და წითელი ქათმის სიმინდი, ბესსარაბიული და სხვანი. მსხვილ-მარცვლოვან დარგიდგან უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: მსხვილ-მარცვლოვანი ანუ ბადენისა, ყვითელი იმერული, ჭრელი კავკასიური, ყვითელი და თეთრი—კეროდი ფილიპპე და ტუსკორორი. ცხენისკბილა დარგიდგან შესამჩნევია: ყვითელი, თეთრი და წითელი ცხენისკბილა, თეთრი ვირგინელი და სხ. ამ დარგის სიმინდის დამწიფებას უნდება უფრო მეტი დრო, სახელდობრ 186 დღე. კარაგუის ჯიშს აქვს დიდი, გრძელი ტაროები, მარგალიტივით თეთრი, მარცვლები, მხოლოდ წვრილ მარცვლოვან სიმინდს კი აქვს თეთრი, წვრილი, ყვითელი და წითელი მარცვლები. ჩვენში გავრცელებული მაღალის ჯიშის სიმინდი წარმოადგენს ნარევს მსხვილ მარცვლოვან და ამერიკულ დარგებისას—ცხენის კბილას და კარაგუასას, რომელიც გავრცელდა ჩვენში მე-60 წლებიდგან.

Amicus

(შემდეგი იქნება)

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო დაგვიანდა.

*) „Le Marxiste“, Paris 1900.

უცხოეთი

იაპონია. „Dally News“ მოჰყავს აზრი ერთის იაპონელ დიპლომატისა, რომელიც ლონდონში სცხოვრობს:

„რუსეთმა რომ ნივთიერად რაიმე არ დაუთმოს იაპონიას, ვეჭვობ, საქმე უომრად გათავდეს. რუსეთის მანჯურიაში გაბატონება კორეასათვის დიდად საშიში შეიქმნება, რომლის დამოუკიდებლობასაც იაპონიისათვის დიდი და დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის გაძლიერება აზიაში და ამავე დროს ინგლისის გავლენის დაცემა აღმოსავლეთში იაპონიისათვის დიდად მაზარალებელია. ხოლო, თუ მოახერხა და რუსეთმა კორეა ხელში ჩაიგდო, მაშინ ხომ იაპონიას თითქმის ანდერძი აეგება, დღენი დაეთვლება. აი, რა მნიშვნელობა აქვს იაპონიისათვის კორეას. ამიტომაც იაპონიის საზოგადოება რუსეთის წინააღმდეგ, პირდაპირ ომის გამოცხადებას თხოულობს, თუ რომ იგი არრას დაუთმობს და ამით იაპონელების საკუთარ ღირსების გრძნობას შეჰლახავს რითმე. ეჭვი არ არის, იაპონიის პირველი მინისტრი მარკიზი იტო ყოველისფერს იღონებს, რომ ომი როგორმე თავიდგან აიცილოს და იმპერატორიც დიდი მშვიდობის მოყვარეა, მაგრამ, ნუ დავივიწყებთ იმას, რომ იაპონიას საკონსტიტუციო მთავრობა ჰყავს და შეუძლიან საზოგადოების აზრმა და შეხედულობამ გაიმარჯვოს, ომი აუცილებელი შეიქმნასო“.

ინგლისი. „Westminster Gazett“ უფრო სხვა შეხედულებისაა რუსეთის მდგომარეობის შესახებ ჩინეთის საქმეში, ვიდრე ინგლისის დანარჩენი გაზეთები; აი, იგი რასა სწერს:

„ინგლისს არავითარი სარგებლობა არა აქვს, რომ რუსეთს წინააღმდეგობა გაუწიოს და მანჯურია არ დაანებოს; ეს განზრახვა რომ ჰქონოდა, ინგლისი მაშინ სამის წლის წინად დაიწყებდა ამ საქმეს და არა დღეს. მანჯურიის გარუსება იმ დღიდგან გარდაწყდა საბოლოოდ, როდესაც ინგლისმა თავისს მოთხოვნილებაზედ ტალიენვანის თავისუფალ ნავთ სადგურათ დარჩენის შესახებ უარი სთქვა და პორტ არტურიდგან გემები გაიყვანა. ინგლისის დღევანდელი სარგებლობა მოითხოვს, რომ უკვე აღსრულებულის ფაქტის წინააღმდეგი არ გახდეს და დაიცვას მხოლოდ საუკეთესო სავაჭრო დამოკიდებულებანი, რაიცა მას ფრთხილმა და დახელოვნებულმა დიპლომატიამ უნდა მოუპოვოს. ყოველს შემთხვევაში, დიდი უგუნურობა იქნებოდა ვიწუხოთ მისთვის, რაც უკვე აღსრულებულია ან-და რუსეთთან უსიამოვნება გვქონდეს, რასაც ჩვენის ვაჭრობის შეფერხება და დაცემა შეუძლიან. უარესი სისულელე კიდევ ის იქმნებოდა, რომ რუსეთთან სამტროდ იაპონია წავაქეზოთ და იმედი მივცეთ, რომ მხარს დავუჭერთ, თუ რუსეთს ომს გამოუცხადებს. მართალია, იაპონიას თავდაპირველად დიდი ზიანის მოტანა შეეძლო, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ დროებითი გამარჯვება და შედეგათ იგივე მოჰყვებოდა, რაც სამხრეთს აფრიკაში ბურებთან ბრძოლის დროს ჩვენ მოგვიხდა. რუსეთი ჩვენსავით იძულებული შეიქმნებოდა საქმე ბოლომდის მიეყვანა, მტერი საბოლოოდ ეძლია. ამ ომში საფრანგეთი ან სულ არავითარს მოქმედებას არ გამოიჩენდა, ან-და უთუოდ რუსეთს მიემხრობოდა; გერმანია-კი, როგორც უიმისოდ, ახლაც იმას ეცდებოდა, რომ სამაგიერო ჯილდო სადმე სხვა ადგილას მიეღოო“.

* * *

დააკვირდი

ოქროს დრონი იყვნენ მაშინ, როცა ოქრო არ ჰბატონობდა.

მარნეზია

* * *

ფული აწყე და ნუ ასესხებ-კი: ჩუქებით მარტო უმადურთ მოიპოვებენ, სესხებით კი მტრებს.

* * *

ძლიერია კანონი, ხოლო გაჭირვება კანონზედ უძლიერესია.

გეტე

* * *

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მარტი.

ბერლინი. „Norddeutsche Zeitung“ ამტკიცებს, რომ სამთა კავშირის ხელ-შეკრულობით იტალია მოვალე არ არის თავისი ჯარი მოკავშირეთა განკარგულების ქვეშ ამყოფოს, ან იტალიის მხედრობისა და ფლოტის რაოდენობა კავშირზედ იყოს დამოკიდებული; ხელშეკრულობით მოკავშირეებს შეუძლიანთ თავიანთ სურვილისამებრ შეამცირონ და მოუმატონ ჯარებს. იტალიის ნივთიერი გაჭირვება კავშირისაგან დამოკიდებული არ არის, რადგანაც ამ მხრივ არავითარი ვალდებულება არ არსებობს.

ბერლინი. ჩინეთისაგან სასყიდლის მიღების შესახებ მოსალაპარაკებლად სახალშინო განყოფილების დირექტორი შტიუბელი იქმნა ლონდონში გაგზავნილი. შტიუბელსვე აქვს მინდობილი სამხრეთ აფრიკაში ნემეცთა სასყიდლის საქმე მოაწყოს ინგლისთან.

პეკინი. ელჩებს თავისს უბანში საპოლიციო სამსახურის საქმე დღემდის ვერ გარდაუწყვეტიათ და ვერ შეთანხმებულან. ინგლისისა და ამერიკის წარმომადგენელნი თხოულობენ, რომ პოლიცია ჯარის-კაცთაგან არ შესდგებოდეს და უფროსებადაც მხედრობის ოფიცრები არ ჰყავდეთ, რადგანაც შესაძლებელია სწორედ გაჭირვების დროს იქმნენ გაწვეულნი. ბევრი კიდევ ელჩების უბნის გამაგრების წინააღმდეგ ჰკამათობს, რადგანაც შიში აქვთ ჩინელებთან დამოკიდებულობის საქმე არ აზარალოს ამან და ურჩევენ ეს გარდაწყვეტილება კარგად აწონ-დაწონონ, რადგანაც ამის გამო საიმპერატორო სახლობა პეკინში აღარა ბრუნდება. ელჩებისაგან შემდგარმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიკვლიოს ჩინეთს რა ნივთიერი შეძლება აქვს, შეჰკრიბა ყოველივე საჭირო ცნობები ამ საგნის შესახებ და აღმოჩნდა, როგორც აქ ამბობენ, რომ სახელმწიფო შემოსავალი შეიძლება ისე იქმნეს გაძლიერებული და ხარჯი შემცირებული, რომ საზღაური 20 წლის განმავლობაში იქმნეს გარდახდილი.

ხარკოვი. გუშინ, საღამოთი, კურსკო-ხარკოვისა და სტავროპოლის რკინის გზის მე-290 ვერსზედ საქონლის მატარებლის № 126 ერთი ნაწილი მოსწყდა და დაეჯახა № 122 საქონლის მატარებელს. დაიმტვრა 22 ვაგონი ნახშირითა და რკინით დატვირთული; მოკლულია უფროსი კონდუქტორი და ერთიც კონდუქტორი მატარებლის № 126-ისა, დაჭრილი არავინ არის; გზა შეკრული იყო, მაგრამ ახლა გაწმენდილია.

ვაშინგტონი. აქ ნამდვილად ამტკიცებენ, რომ ჩინეთისაგან გერმანიას საზღაურად 60 მილიონ დოლარამდე მოუთხოვნია.

14 მარტი.

სოფია. გარეშე საქმეთა მინისტრმა ადრესის შესახებ კამათის დროს კრებაზედ აღნიშნა ის გარემოება, რომ საჭიროა ყველა სახელმწიფოებთან კარგი განწყობილება ჰქონდეთ. ორატორმა სარწმუნოდ აღიარა, რომ სერბიას დაუახლოვდნენ და რუმინიასთანაც მეგობრული მეზობლური დამოკიდებულებანი აქვთ, რადგანაც თითონ ამ სახელმწიფოთ შეგვიწყო ხელი. მინისტრმა გამოსთქვა სურვილი, რომ ოსმალეთიც ისრევე პატიოსნურად ასრულებდეს თავისს ვალდებულებას ბერლინის ხელშეკრულობით, როგორც ამას ბოლგარია ასრულებს.

ლონდონი. სტატს-სეკრეტარის ძმის, არტურ ჩემბერლენის საქმეში, რომელიც „Neus Vopeps Companu“ ს უჩიოდა ცილი დაგვწამაო, სასამართლომ დამნაშავეთ 200 გირვანქა სტერლინგის და სასამართლოს ხარჯის გარდახდა მიუსაჯა. როგორც „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, ბრალდებულთ თანხმობა განუცხადებიათ 1500 გირვანქა გარდაიხადონ იმ პირობით მხოლოდ, რომ მეორე საქმე, რომელიც ნევილ ჩემბერლენის მიერ (ესეც სტატს-სეკრეტარის ნათესავია) არის მათ წინააღმდეგ აღძრული, მოსპობილ იქმნეს. ცილს სწამებდნენ გაზეთები, ვითომ ჩემბერლენი სტატს-სეკრეტრის ნათესავებით სარგებლობდეს და სცდილობდეს მთავრობასთან სამრეწველო საზოგადოებ
ხელშეკრულობანი შეუკრას, საზოგადო
ბათ, რომლებთანაც ვითომ მას დამო
კიდებულება აქვს.

* * *

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ. რიგაში მოსწავლე ქართველი სტუდ
ტები უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ბ-
დ. ზ. სარაჯიშვილს, რომელმაც ჩვენ ძმ
ბას ათი თუმანი შემოსწირა.

ქართველი სტუდენტების მინდობილობი
სტ. ა. ოდიშელიძე.

* * *

განცხადებანი

ისყიდება ხეხილები
„შრომის“ ამხანაგობისა.
მიხეილის ქუჩა, № 101.
(10—62—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა
ტფილისის მეურმეთა და მედროგ
თა შესახებ სავალდებულო დადგ
ნილებათა მე-13 § ის თანახმად, უც
ხადებს მსუბუქ და მძიმე ბარგის მ
ტარებელ ურმებისა და დროგების
პატრონთ, რომ ორივ საზოგადო
ბის მამასახლისთა და მათის კანდ
დატთა არჩევანები დანიშნულია ქ
ლაქის გამგეობის დარბაზში, პირვე
ლის საზოკადოებისა—15 მარტის
თვის ნაშუადღევის სამ საათზე
ხოლო მეორისათვის 18 მარტის
თვის დილის 10 საათზედ. ამისათვ
სთხოვს ურმებისა და დროგების ყვ
ლა პატრონთ მობრძანდნენ არჩევ
ნების მოსახდენად დანიშნულს დრო
ზედ გამგეობის დარბაზში თავიანთ
ნიშნებით ანუ სავალდებულო დად
გენილებათა წიგნებით. (3—6.—3

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 მარტისათვის 1901 წლისა.

აქტივი.

			მან.	კაპ.
I.	კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . .		17699	32
II.	მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . .		120	88
III.	„ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . .		13215	66
IV.	პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. . . .		1000	—
V.	სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი.			
	ა) უზრუნველ-ყოფილნი:	2060—76		
	ბ) არა-უზრუნველ ყოფილნი:	6200—	8260	76
VI.	სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი. . . .		3904	34
VII.	განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . .		261100	27
VIII.	პროტესტ-ნაქმნარი თამასუქები . . .		1150	—
IX	განაღდება °/₀-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ.		1231	35
X.	გირაოთი გაცემული სესხი:			
	ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . .	7112—60		
	ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. .	19172—		
	გ) საქონელზედ . . .	17288—13		
	დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. . .	10376—	53948	73
XI.	დასაბრუნებელი ხარჯი . . .		99	76
XII.	მოწყობა-მომართვა . . .		2129	02
XIII.	კორესპონდენტები:			
	ა) იმათის ანგარიშით (loro) . . .		15573	35
XIV.	გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი .		173	76
XV.	სხვა-და-სხვა დებიტორები . . .		251	43
XVI.	გარდასაცემი თანხა . . .		637	65
XVII.	მიმდინარე ხარჯი . . .		3062	32
	სულ		383558	60

პასსივი.

			მან.	კაპ.
I.	თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 822 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრი ფულიდგან		85406	—
II.	სათადარიგო თანხა . . .		4046	15
III.	შემოტანილი ფული:			
	ა) მიმდინარე ანგარიშით . . .	111643—90		
	ბ) ვადით . . .	140029—		
	გ) უვადოდ . . .	965—	252637	90
IV.	გარდასაცემი თანხა . . .		1541	41
V.	გარდასახდელი სარგებელი . . .		1441	81
VI.	სახელმწიფო 5°/₀-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . .		4	70
VII.	წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე 12 და 13 §§-ის თანახმად		300	
VIII.	გარდასაგზავნად შემოტანილი ფული . . .		1500	
IX.	კორესპონდენტები:			
	ა) ჩვენის ანგარიშით (nostro) . . .		4999	
X.	განაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . .		17700	
XI.	განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში კერძო საკრედიტო დაწესებულებანში:			
	ა) თამასუქების უზრუნველ-ყოფით . . .		3	
	ბ) °/₀-ან ქაღალდებ. უზრუნ.-ყოფით.	—	—	
XII.	განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . .		96	
XIII.	წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა . . .		2516	
XIV.	მიღებული სარგებელი . . .		4331	
XV.	მოგება და ზარალი 1901 წლისა . . .		30	
XVI.	წმინდა მოგება 1900 წლისა . . .		7003	
	სულ		383558	
	პასუხის-მგებლობა 822 წევრისა 10-°/₀-იან შემოსატანს გარდ. . . .		768654	
	საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება.		4900	
	თამასუქები საკომისიოდ . . .		1601	

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го Марта 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.